

**აჭარა-თრიალეთის ნაოჭა-შეცოცებითი სარტყლის რეგიონული ტექტონიკა,
განვითარების ისტორია და ცენტრალური სეგმენტის შუაეოცენური აუზის
ფაციესური არქიტექტურა**

ლევან ლომსაძე (დოქტორანტურის სტუდენტი)

ელ ფოსტა: levan.lomsadze013@ens.tsu.edu.ge

გეოლოგიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივ.
ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

ჭავჭავაძის ქ. 1, თბილისი, საქართველო, 0179

ჩემს მიერ სამეცნიერო კვლევითი პროექტი 2-ისთვის წარმოდგენილი ნაშრომი ეხება აჭარა თრიალეთის ნაოჭა სისტემას, უფრო კონკრეტულად კი მის ცენტრალურ ნაწილს და იქ მიმდინარე პროცესებს იმ პერიოდში როდესაც აღნიშნული ტერიტორია ჯერ წყლით იყო დაფარული და მის სამხრეთით მიმდინარეობდა ვულკანური მოქმედება, რამაც დიდი გავლენა მოახდინა აღნიშნულ რეგიონზე, და იმ სახით ჩამოყალიბებაზე როგორც ის დღეს არსებობს. აღნიშნული საკითხი ესოდენ მნიშვნელოვანი და საინტერესოა გამოსაკვლევად. ნაშრომში ასახულია აჭარა თრიალეთის ნაოჭა შეცოცებითი სარტყლის რეგიონული ტექტონიკა, თუ როგორ ხდებოდა მისი ჩამოყალიბება და აღწერილია თუ რა მოვლენებს ჰქონდა ადგილი აჭარა თრიალეთის ნაოჭა სისტემის ჩამოყალიბებისას, ასევე განხილულია მისი განვითარების ისტორია პალეოგენის პერიოდში. ნაშრომში ძირითადად აქცენტი გაკეთებულია აჭარა თრიალეთის ნაოჭა სისტემის ცენტრალური სეგმენტზე, სადაც მდებარეობს ბორჯომის რაიონი და მიმდებარე ტერიტორია, განხილულია განვითარება და მისი ფაციესური არქიტექტურის აღწერა ეოცენური ეპოქის განმავლობაში. საუბარი ასევე შეეხება ვულკანიზმის ტიპებს, მათი მოქმედების აქტივობას და მათი ამოფრქვევის შედეგად დალექილ ნალექების სახეებს და ტიპებს, ჩემს მიერ ძირითადი ფოკუსირება ხდება შუა ეოცენური ასაკის ქანებზე, ვეხები ნაწილობრივ ქვედა და ზედა ეოცენურებსაც ვინაიდან ისინი კავშირში არიან ჩემთვის საინტერესო პერიოდთან.